ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 279 (19720) პარასკევი, 5 დეკემბერი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ტექნიკა და მექანიზატორი

როგორც ცნობილია, ნოემბრის დასაწყისში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი ეწვია ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოფენას, რომელიც სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითის ინსტიტუტში მოეწყო. ტექნიკის დათვალიერების შემდეგ აქ გამართულ თათბირზე მ. ს. გორბაჩოვმა თქვა, რომ „ახლა, როცა სოფლის მეურნეობის მშრომელებმა გემო გაუგეს ინტენსიურ ტექნოლოგიას და მიხვდნენ, რაოდენ გადაუდებელია მისი გავრცელება მემცენარეობაშიც და მეცხოველეობაშიც, განსაკუთრებული მომთხოვნელობით უდგებიან საკითხებს, რომლებსაც აყენებს ინტენსიური ტექნოლოგიების დანერგვა. ეს საკითხები მოიცავს პრობლემათა მთელ კომპლექსს, მაგრამ უნინარეს ყოვლისა ტექნიკას“.

როგორც ვხედავთ, ამ ეტაპზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტექნიკას, რომელიც ინტენსიური ტექნოლოგიების ქვაკუთხედია. თათბირზე განხილეს საკითხი, თუ როგორ სრულდება ამოცანები, რომლებიც ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსის ტექნიკური აღჭურვის გაძლიერების თაობაზე სკკპ XXVII ყრილობის, ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის და 1986 წლის ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებებიდან გამომდინარეობს.

ტექნიკა და ადამიანი (უწინარესად მექანიზატორი) დღეს განუყოფელ ცნებებად იქცა. უბრალო ჭეშმარიტებაა — მანქანა საოცრებას ახდენს წარმოებაში, მაგრამ მას მაინც ადამიანი მართავს. აქედან გამომდინარე ჩვენს სოფლის მშრომელებს, რომლებიც მიწას არიან შეჭიდებულნი, მოვალე ვართ უფრო შეეუმსუბუქოთ შრომა. როგორც ვიცით, ბოლო ათი წლის მანძილზე სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მნიშვნელოვნად განვითარდა. მანქანა-ტრაქტორთა პარკის სიმძლავრემ 1,5-ით მოიმატა, მაგრამ ხელის შრომის წილი მაინც მნიშვნელოვანია. საკმარისია ორი ციფრის მოყვანა: ჩვენს ქვეყანაში 1.000 ჰექტარ დასამუშავებელ ფართობზე დასაქმებულია 114 კაცი, ჩვენს რესპუბლიკაში კი — 640. მექანიზაციის საშუალო დონე საქართველოში 60 პროცენტია, უფრო უარესი მდგომარეობაა მეცხოველეობაში. მექანიზაციის დონე მესაქონლეობაში 30 პროცენტია, მეღორეობაში — 22. და ეს მაშინ, როცა საკავშირო მაჩვენებლები შესაბამისად 50.67 პროცენტია. ამ მდგომარეობას იმედია გულისყურით მოეკიდებიან იმ საშეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ხელმძღვანელები, პარტიული ორგანიზაციები, რომლებსაც ამ საკითხზე ზრუნვა დღენიადაგ მართებთ.

საქართველო მთაგორიანია და ფერდობებზე მექანიზმებს უჭირთ მუშაობა. სწორედ ამიტომაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს სამთო მიწათმოქმედების პრობლემების რაც შეიძლება დაჩქარებით გადაწყვეტას. ამისათვის უწინარესად საჭიროა და აღმათ მალე სერიულად გამოვა ჩვენი მეცნიერებისა და კონსტრუქტორების მიერ შექმნილი თვითმავალი, უფრო სრულყოფილი შასი და მისი კიდული იარაღები. აქვე გვინდა დავძინოთო, რომ საგრძნობლად დაგვიანდა მინი-ტრაქტორების გამოშვება, რომლებსაც სულმოუთქმელად ელიან სოფლის მშრომელები, რადგან უამრავი მეირკოტრიანი ნაკვეთები წლობით დაუმუშავებელი რჩება და უნაყოფოა. დროულად უნდა ვიფიქროთ და ვიზრუნოთ მიკრო და ფართო მოდების დამტვერავებელი მანქანების შექმნა-გაუმჯობესებაზე. აქვე არ შეიძლება არ ვუსაყვედუროთ ჩვენი შესაბამისი ინსტიტუტების, რესპუბლიკური სამეურნეო ინსტანციებისა და საზოგადოებრივი მეურნეობების ხელმძღვანელებს იმის გამო, რომ ვერ იქნა და ვერ შევაღწიეთ ქარხნიმიერი ეროზიის საწინააღმდეგო ტექნიკის გამოყენებას. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ქარხანიმიერი ეროზიის საწინააღმდეგო კომპლექსური მანქანები (სიბრტყეზე ჭრელი გუთანი და სხვა) არათუ ვერ გამოვიყენეთ შემინდვრეობაში, არამედ არც კი გამოუცდიათ იმ რაიონებს (წითელწყარო, სიღნაღი, საგარეჯო და სხვა), სადაც ყოველწლიურად ათასობით და მეტ ფართობებს აზიანებს ქარხანიმიერი ეროზია, ხშირად ხელმეორედ ითესება საშემოდგომო და საგაზაფხულო თავთავიანი კულტურები. ეს კი ერთობ ართულებს საქმეს, აძვირებს პროდუქციას. უფრო სავალალო ის არის, რომ ბაზებში წლობით აწყვია ქარხანიმიერი ეროზიის საწინააღმდეგო ტექნიკა და მას არავინ იყენებს.

სამეურნეო წელი იწურება, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები მთავრდება, მოსავლის აღებისა და სხვა სამუშაოთა უმეტესობა კარგა ხანია დამთავრდა; მინდვრად და ბაღ-ვენახებში მოსავლის აღება, მანქანების გუგული შეწყდება თუ არა, მაშინვე იწყება ტექნიკის შეკეთება, წესრიგში მოყვანა. კარგი მექანიზატორი მარტო ის კი არ არის, ვინც მოკლე დროში იღებს მოსავალს, არამედ ის, ვინც მოსავლის დაბინავებისთანავე ტექნიკას დაუყოვნებლივ მოიყვანს წესრიგში და გამართულ სასოფლო-სამეურნეო მანქანებს ფარდულებქვეშ დაყენებს, რათა მომავალი წლის აღლოობას მომზადებული შესვდეს. სანიმუშოდ უნდა მოვიყვანოთ წითელწყაროს რაიონის ზემო ქედის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე — სოციალისტური შრომის გმირი ა. კობაიძე) იმ სატრაქტორო ბრიგადის მექანიზატორთა შესაფერი მაგალითი, რომელთა დამრიგებელია გმირი მექანიზატორი ნ. შელიქაშვილი. ბრიგადას სანიმუშოდ მოვლილი მექანიზმები აქვს, რადგან მექანიზატორთა შრომასა და საყოფაცხოვრებო პირობები სანიმუშოა. გარდაბნის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი მ. გასანოვი) მანქანების სანგრძლივობა (ზოგი მანქანა 15-20 წელიწადს მუშაობს) ისე დიდია, რომ ტექნიკის მწარმოებლურად გამოყენების კოეფიციენტი სანიმუშოა, სწავლისათვის მისაბაძია.

ყველაფერს ადამიანის ნიჭი და უნარი ქმნის. ტექნიკა და მექანიზატორიო როცა ვამბობთ, ვეულისხმობთ გამრჯე, მუყაითო, მომზრდელ მექანიზატორს, მის სანაქებო საქმეებს, მანქანის სიყვარულს, საზოგადოებრივი შრომის სიყვარულს. ხელმარჯვე და ნიჭიერმა ადამიანებმა მოუპოვეს მექანიზატორს პრესტიჟული სახელი და დიდება. ასეთი მექანიზატორები ბევრია რესპუბლიკაში. დასანანი ის არის, რომ ამ ბოლო დროს მექანიზატორის სახელი, ზოგიერთი უქნარას გამოისობით, ზოგან შეიბღალა. ზოგან მანქანებს გულისყურით, პროფესიული სიყვარულით არ პატრონობენ, რის გამოც ძვირად ღირებული მანქანები ნაადრევად გამოდიან მწყობრიდან, რაც მძიმე ტვირთად აწვება წარმოებას, აძვირებს პროდუქციას. ასეთ შემთხვევებს მეურნეობათა ხელმძღვანელები, პარტიული და საბჭოთა ორგანოები, უწინარესად კი აგროსამრეწველო გაერთიანებათა ხელმძღვანელები გულგრილად თვალს არ უნდა ჰრიდებდნენ.

ახლა ტექნიკის აღდგენის, მანქანების რემონტის დროა. რესპუბლიკის სახაგრომრეწვმა ადგილებზე — კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებში მოაწყო ტექნიკის შენახვის რესპუბლიკური დათვალიერება-შეჯიბრება. შედეგები ჯერ არ შეჯამებულა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დათვალიერების შედეგებს მთელი პრინციპულობით განიხილავენ და ქმედითს ღონისძიებებს დასახავენ. მანამდე კი რესპუბლიკის იენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობები უნდა მოვიშველიოთ. არიან რაიონები, სადაც ტრაქტორებისა და სხვა მანქანების გამართულობა სათანადო ყურადღებას არ აქცევენ. ნოემბრის დასაწყისისათვის რესპუბლიკაში ყველა სახეობის ტრაქტორების მხოლოდ 90 პროცენტი იყო გამართული. უფრო უარესი მდგომარეობაა კომბაინების გამართულობის მხრივ: საერო რაოდენობის ყოველგვარი კომბაინების მხოლოდ 74 პროცენტია გამართული.

ზამთრის ეს დღეები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტს უნდა მოახმარონ მექანიზატორებმა. მანქანები მაღალხარისხოვნად უნდა შეკეთდეს ისე, რომ საგაზაფხულო სამუშაოები მინდვრად და ბაღ-ვენახებში არ შეფერხდეს.

ტექნიკური პროგრესის ხანაში, როცა ადამიანი დედამიწაზე თუ კოსმოსში საქვეყნო საოცრებებს ანდენს, მიუტევებელია მანქანას მიეკარ-ეს გულისყურით არ მოვეკიდოთ, რადგან ხომ ცნობილია, რომ მიწა და მექანიზატორია ჩვენი მარწყანელი. მარჩხალთ კი დიდი რუდუნება და გულმხურვალე ზრუნვა სჭირდებათ. ეს უნდა იცოდეს ყველამ, უწინარესად კი საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებმა, სასოფლო რაიონების პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელებმა, ყველამ, ვისზეც დამოკიდებულია საგაისო მოსავლის სიუხვის ბედი.

◆◆ ქვლავ ანთია ვარსკვლავები

ზეგინდდება თუ არა, ტყიბულის ქვანახშირის ცენტრალური მამდიდრებელი ფაბრიკის მთავარ კორპუსზე უმაღლეს ინთება წითელი ვარსკვლავი — აქაურ მშრომელთა გამარჯვების სიმბოლო.

არნახული შემართებით შრომობენ წლის დამდეგიდან მამდიდრებლები. ფაბრიკის კონვეიერიდან განუწყვეტლივ გადმოდის საუკეთესო კონცენტრატი, რომელიც რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას ეგზავნება. თერომეტი თვის სახელმწიფო გეგმა აქ 13 დღით ადრე შესრულდა, მომხმარებელმა ნავარაუდევზე 1500 ტონით მეტი სათბობი მიიღო.

მიღწეულია სხვა ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვითაც. შრომის ნაყოფიერება, დავალებასთან შედარებით, 4,6 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ტონა დამზადებული კონცენტრატის თვითღირებულება 5ი პროცენტით შემცირდა. გეგმის გადამეტებით საწარმომ 76 ათასი მანეთი მოიგო. გრაფიკის მიხედვით ინერგება ახალი ტექნიკა, ხორციელდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებები.

ფაბრიკაში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის. შრომითს მეტოქეობაში დაწინაურდა მამდიდრებელთა ცვლები, რომლებსაც გ. ბოჭორიშვილი და ა. გვენტაძე ხელმძღვანელობენ.

◆◆ მარცვლეულიც, ბოსტნეულიც

ხობის რაიონის მშრომელებმა პირნათლად მოიხადეს ვალი სამშობლოს წინაშე, ვადამდე შეასრულეს მარცვლეული კულტურების და ბოსტნეულის სახელმწიფოსათვის მიყიდვის დავალებები. გეგმით გათვალისწინებული 3.130 ტონა სიმინდის ნაცვლად დამზადებულია 3.200 ტონა.

ხობელები ვარაუდობენ, რომ გადაჭარბებით შეასრულონ მარცვლეულის წარმოების გეგმა და იგი აიყვანონ 11.500 ტონამდე, ხოლო ჰექტარზე საშუალო მოსავლიანობისა — 33 ცენტნერამდე.

სიმინდის უხვი მოსავალი — ჰექტარიდან 60-65 ცენტნერი მოიწიეს იმ საზოგადოებრივ მეურნეობებში, სადაც ეთესათ რესპუბლიკური სამრეწველო-სამეცნიერო გაერთიანება „თავთავის“ მეცნიერ-მუშაკების მიერ გამოყვანილი სიმინდის ჰიბრიდული ჯიში „ენგური“.

სახელმწიფოს მიეყიდა აგრეთვე 306 ტონა ბოსტნეული დაგეგმილი 300 ტონის ნაცვლად.

◆◆ ვალამდე...

ასპინძის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებამ მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წლის მთელი რიგი პროდუქტების დამზადების საგეგმო დავალებანი ადრევე შეასრულა, ამჟერად კი ხილისა და პირუტყვის საკვების დამზადების საგეგმო დავალებანი გაანაღდა. რაიონის მეხილეებმა ნაცვლად 27.500 ტონისა სახელმწიფოს მიჰყიდეს 28.528 ტონა ხილი. საზოგადოებრივმა მეურნეობებმა დიდი გადამეტებით შეასრულეს ხილის მიყიდვის გეგმა. აღსანიშნავია აგრეთვე საკვებმომოვებელთა გარჯა. რაიონმა ყველა სახის საკვების დამზადების გეგმა გადამეტებით შეასრულა და პირუტყვის გამოზამთრებისთვისაც კარგად მოემზადა.

იანვარში დანაპირებს დეკემბერი მოგვკითხავს

ზუგდიდის რაიონის მეცხოველეებმა წარმატებას მიაღწიეს რძისა და ხორცის დამზადების საქმეში. ნაცვლად 4.200 ტონისა სახელმწიფოს მიჰყიდეს 5.805 ტონა რძე და ნაცვლად 5 მილიონ 200 ათასისა 5 მილიონ 235 ათასი ცალი კვერცხი.

ზესტაფონის რაიონის მშრომელებმა გადამეტებით შეასრულეს ყველა სახის სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების წლიური გეგმები. საზოგადოებრივმა მეურნეობებმა მნიშვნელოვანი გადამეტებით აწარმოეს ყურძენი, ხილი, ბოსტნეული, უხეში საკვები და სხვ. სახელმწიფოს მიეყიდა 1840 ტონის ნაცვლად 1.962 ტონა რძე, 1.300 ტონა ხორცი და 4.600 ცალი კვერცხი, რაც საგეგმო დავალებით იყო ნაგარაუდევი.

◆◆ მილფევები ხარისხმა განაპირობა

„ჰიათურამანგანუმის“ საწარმოო გაერთიანების კალინინის სახელობის მაღაროთსამმართველოს კოლექტივი, რომელმაც მიმდინარე წლის სასაქონლო პროდუქციის გამოშვების სახელმწიფო გეგმა 12 ნოემბრისათვის შეასრულა, საამეო ბაზას ქმნის სამომავლო საწარმოო პროგრამის წარმატებული რეალიზაციისათვის.

კარგი ნაყოფი გამოიღო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის გამიზნულმა ღონისძიებათა დროულმა განხორციელებამ, მონლომეობამ, საქმისადმი კეთილსინდისიერმა დამოკიდებულებამ. ზეგეგმითმა მოგებამ 1.508 ათასი მანეთი შეადგინა, და ეს ნაგებულმის ხარისხის გაუმჯობესების ხარჯზეა მიღწეული.

წლიურს საწარმოში საგრძნობლად გაუმჯობესდა სხვა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებიც. ზორციელდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების პროგრამასთან დაკავშირებული ღონისძიებები, მტკიცე შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინა, გააქტიურდა ადამიანის ფაქტორი. მაღაროთსამმართველოს კოლექტივი ერთ-ერთი პირველი ჩაება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ამ ღირსშესანიშნავი თარიღისათვის საწარმოს ყველა უბნის, ბრიგადის ჯოლექტივებმა გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს. ვალდებულებებში სხვა ფაქტორებთან ერთად წინა პლანზეა წამოწეული პროდუქციის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის საჭირო სამუშაოების შესრულება. წლის დამლევამდე მაღაროთსამმართველოს კოლექტივი მომხმარებელს გეგმის გადამეტებით ათასობით ტონა მადანს მიაწვდის.

მაღაროელებმა პირნათლად შეასრულეს მიმდინარე წლისათვის ნაკისრი ვალდებულებანი.

◆◆ არის გეგმა, არის ვალდებულებაც

წნორის მექანიკური ქარხანა იშვიათი საწარმოა. მისი კოლექტივი თანამედროვე კომუნალური დანიშნულების მანქანებს ამზადებს, როგორც ჩვენი ქვეყნის დიდი ქალაქებისათვის, ისე საზღვარგარეთის ბევრი ქვეყნისათვის.

25 ნოემბრისათვის ქარხანამ გამოუშვა 2.970 ათასი მანეთის პროდუქცია, რაც 50 ათასი მანეთით აღემატება თერმეტი თვის გეგმას. წარმატებით შესრულდა პროდუქციის რეალიზაციის მიღდინარე წლის გეგმაც და ვალდებულებაც. მომხმარებელს გაეგზავნა წლიური დავალებით ნავარაუდევზე მეტი პროდუქცია. გეგმის გადამეტებით შემკვეთი 350 ათასი მანეთის კომუნალური დანიშნულების მანქანებს მიღებს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებულ წარმატებას აღწევენ იმ საამქროთა კოლექტივები, რომლებსაც ე. ნანობაშვილი, ვ. მჭედლიძე და რ. ბაღაშვილი ხელმძღვანელობენ.

მომავალი წლისათვის ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებში მანქანათმშენებლებმა წინა პლანზე წამოსწიეს პროდუქციის ხარისხის მკვეთრ გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება.

◆◆ აქ კი ვერაფრით დაიტრაბახებენ

რესპუბლიკის ერთ-ერთმა დიდმა საწარმომ — თბილისის „ჩარხმშენებლის“ საწარმოო გაერთიანებამ ვერა და ვერ გაუმჯობესა მუშაობა, თუმცა, რა გაუმჯობესებაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა აქ საქმე სულ უკან და უკან მიდის. არადა, ეს ხდება ორგანიზაციაში, რომელიც ახალი წლიდან პროდუქციის სახელმწიფო მიღებაზე გადადის.

პროდუქციის გამოშვების თერმეტი თვის გეგმა აქ 90,1 პროცენტით, ხოლო მისი რეალიზაციისა — 92,6 პროცენტით შესრულდა. მომხმარებელს 4.400 ათასი მანეთის პროდუქცია დაეკლო. წლიური დავალებით გაერთიანების კოლექტივმა უნდა დაამზადოს 50 მილიონი მანეთის ჩარხები და სხვა ნაწარმი. ფაქტობრივად კი გამოშვებულია მხოლოდ 40.329 ათასი მანეთის პროდუქცია. კიდევ უფრო უარესი მდგომარეობაა ნოემბერში. ამ თვის პროდუქციის გამოშვების გეგმა მხოლოდ 37 პროცენტით შესრულდა.

მართალია, გაერთიანების კოლექტივმა მიმდინარე წლისათვის იკისრა გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი, მაგრამ რა საჭიროა ამაზე ლაპარაკი, როცა სახელმწიფო გეგმები არ სრულდება.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ გაერთიანებაში 120 პროცენტით შესრულდა სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი, პროდუქციის გამოშვების გეგმა. ამასთან, საწარმოში მრავალი წლის მანძილზე არ შემოწმებულა ხარისხის პარამეტრის ბიზედვით აქ დამზადებული არც ერთი ჩარხი, მუშაობის არაორმალურობა ზოგჯერ არა მარტო იწვევდა მრავალი დღით გაჩერებას, არამედ წუნის მთავარი ფაქტორიც ხდებოდა. აქ უამრავი საკითხია მოსაგვარებელი, გაერთიანება არ არის მზად სახელმწიფო მიღებისათვის.

ასეთ საქმის ვითარებას ქარხანაში მრავალნაირად ხსნიან, იმიზეზებენ ბომწოდებელთა გაუმართავ მუშაობას, იმას, რომ მოძველებულია მოწყობილობა და სხვა. ფაქტი კი ფაქტად რჩება — გაერთიანება დრამატულ სიტუაციას მიუახლოვდა, მდგომარეობა საგანგაშოა.

ᲐᲮᲠᲘᲪᲘᲔᲚᲔᲑᲔᲜ

ᲐᲮᲠᲘᲪᲘᲔᲚᲔᲑᲔᲜ რა სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებს, ქალაქის ზონის მშრომელები წარმატებით ამთავრებენ მეთორმეტე ხუთწლედის პირველ წელს და 1987 წლისათვის კისრულობენ შემდეგ სოციალისტურ ვალდებულებებს:

სამრეწველო პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის 1987 წლის გეგმა შეასრულონ 15 დეკემბრისათვის. წლიური გეგმის გადამეტებით გამოუშვან 2 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია, მათ შორის 65 პროცენტი იქნება სახალხო მოხმარების საქონელი, 10 პროცენტით განაახლონ დანადგარ-მოწყობილობანი, მათი მუშაობის ცვლილების კოეფიციენტი აამაღლონ 1,5-ჯერ, 5 პროცენტით შეამცირონ ხელის შრომა. შრომის ნაყოფიერებას გეგმასთან შედარებით გაზარდონ 1,2 პროცენტით, ხოლო პროდუქციის თვითღირებულება შეამცირონ 0,6 პროცენტით. წარმოების მოცულობა ძირითადად გაზარდონ მწარმოებლობის ზრდის ხარჯზე.

გეგმის გადაჭარბებით გადაიყვანონ 40 ათასამდე მგზავრი, გადაზიდონ 12 ათას ტონამდე ტვირთი, დაზოგონ 100 ტონაზე მეტი საწვავ-საპოხი მასალა. 1500 ახალი ნომრით გააფართოონ სატელეფონო ქსელი.

სამშენებლო ორგანიზაციების სიმძლავრეები გაზარდონ 5 პროცენტით. გეგმის გადამეტებით შეასრულონ 600 ათასი მანეთის საიჯარო სამუშაოები. უზრუნველყონ შრომის ნაყოფიერების ზეგეგმითი ზრდა 2,5 პროცენტით, ხოლო კადრების დენადობა შეამცირონ 1,7 პროცენტით.

სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის წარმოების მოცულობა გაიზრდება 2 პროცენტით და 30 მილიონ მანეთს მიაღწევს.

მარცვლეულის საშუალო მოსავლიანობა გაზარდონ 24 ცენტნერამდე, ბოსტნეულისა — 130 ცენტნერამდე, ჩაისა — 92 ცენტნერამდე, მიაღწიონ ერთ ფურზე 1850 კილოგრამ საშუალო წველადობას. გააშენონ ჩაის პლანტაცია 45 ჰექტარზე, ვენახი — 10 ჰექტარზე, ხილი — 20 ჰექტარზე.

საქონელბრუნვის დავალება შეასრულონ 30 დეკემბრისათვის, ხოლო საერთო საქონელბრუნვაში თვითმმსახურების მოცულობა გაზარდონ 12 პროცენტით.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა გაადიდონ 30 ათასი მანეთით. საწარმოებსა და ორგანიზაციებში დამატებით გახსნან 3 საყოფაცხოვრებო მომსახურების კომპლექსური მიმღები პუნქტი.

ქალაქის კეთილმოწყობას მოახმარონ 500 ათასამდე მანეთი, საბინაო ფონდის კაპიტალურ შეკეთებას — 250 ათას მანეთზე მეტი.

საეკსპლოატაციოდ გადასცენ კინო-საკონცერტო დარბაზი, მუსიკალური შადრევანი, სავაჭრო ცენტრი, შემნახველი სალარო, აეროფლოტის საგენტო, რკინიგზის სალაროები, ნ. ლორთქიფანიძის სახელობის მუზეუმი, უალკოჰოლო სასმელების საფირმო მაღაზია, ავტოსადგური, ავტოპროფილაქტორიუმი, სანატორიუმი „სამგურალი“, სამხატვრო გალერეა, საბაზანო, სამუსიკო სკოლა, რაიონული პოლიკლინიკა და სხვა ობიექტები.

უზრუნველყონ კურორტის სანატორიუმების და საკურორტალო დაწესებულებების მიერ 115 ათასზე მეტი ავადმყოფ-დამსვენებლის მომსახურება, 2 პროცენტით გაზარდონ ზეგეგმითი მოგება. პრაქტიკაში დანერგონ მკურნალობის 5 ახალი მეთოდი. კაპიტალურად შეაკეთონ ცენტრალური საავადმყოფო და სამშობიარო სახლი.

არდადეგების პერიოდში უფროსკლასელი მოსწავლეები მონაწილეობას მიიღებენ სასოფლო-სამეურნეო და ქალაქ-კურორტის კეთილმოწყობის სამუშაოებში, შეასრულებენ 40 ათასი მანეთის სამუშაოებს.

სპორტული საზოგადოებები და ფიზკულტურული კოლექტივები წლის განმავლობაში მოამზადებენ 5 ათასამდე სპორტსმენ-თანრიგოსანს. წინა ხუთწლედთან შედარებით 1,3-ჯერ მეტი სპორტსმენი იმეცადინებს სპორტულ ბაზებზე.

სოციალისტური ვალდებულებანი განხილული და მიღებულია ზონის შრომითს კოლექტივებში.

(საქინფორმი).

შრომის ნაყოფიერების გაძიდებით

ქ. ᲤᲧᲐᲚᲗᲣᲑᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲖᲝᲜᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ 1987 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ

სამრეწველო პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის 1987 წლის გეგმა შეასრულონ 15 დეკემბრისათვის. წლიური გეგმის გადამეტებით გამოუშვან 2 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია, მათ შორის 65 პროცენტი იქნება სახალხო მოხმარების საქონელი, 10 პროცენტით განაახლონ დანადგარ-მოწყობილობანი, მათი მუშაობის ცვლილების კოეფიციენტი აამაღლონ 1,5-ჯერ, 5 პროცენტით შეამცირონ ხელის შრომა. შრომის ნაყოფიერებას გეგმასთან შედარებით გაზარდონ 1,2 პროცენტით, ხოლო პროდუქციის თვითღირებულება შეამცირონ 0,6 პროცენტით. წარმოების მოცულობა ძირითადად გაზარდონ მწარმოებლობის ზრდის ხარჯზე.

გეგმის გადაჭარბებით გადაიყვანონ 40 ათასამდე მგზავრი, გადაზიდონ 12 ათას ტონამდე ტვირთი, დაზოგონ 100 ტონაზე მეტი საწვავ-საპოხი მასალა. 1500 ახალი ნომრით გააფართოონ სატელეფონო ქსელი.

სამშენებლო ორგანიზაციების სიმძლავრეები გაზარდონ 5 პროცენტით. გეგმის გადამეტებით შეასრულონ 600 ათასი მანეთის საიჯარო სამუშაოები. უზრუნველყონ შრომის ნაყოფიერების ზეგეგმითი ზრდა 2,5 პროცენტით, ხოლო კადრების დენადობა შეამცირონ 1,7 პროცენტით.

სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის წარმოების მოცულობა გაიზრდება 2 პროცენტით და 30 მილიონ მანეთს მიაღწევს.

მარცვლეულის საშუალო მოსავლიანობა გაზარდონ 24 ცენტნერამდე, ბოსტნეულისა — 130 ცენტნერამდე, ჩაისა — 92 ცენტნერამდე, მიაღწიონ ერთ ფურზე 1850 კილოგრამ საშუალო წველადობას. გააშენონ ჩაის პლანტაცია 45 ჰექტარზე, ვენახი — 10 ჰექტარზე, ხილი — 20 ჰექტარზე.

საქონელბრუნვის დავალება შეასრულონ 30 დეკემბრისათვის, ხოლო საერთო საქონელბრუნვაში თვითმმსახურების მოცულობა გაზარდონ 12 პროცენტით.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა გაადიდონ 30 ათასი მანეთით. საწარმოებსა და ორგანიზაციებში დამატებით გახსნან 3 საყოფაცხოვრებო მომსახურების კომპლექსური მიმღები პუნქტი.

ქალაქის კეთილმოწყობას მოახმარონ 500 ათასამდე მანეთი, საბინაო ფონდის კაპიტალურ შეკეთებას — 250 ათას მანეთზე მეტი.

საეკსპლოატაციოდ გადასცენ კინო-საკონცერტო დარბაზი, მუსიკალური შადრევანი, სავაჭრო ცენტრი, შემნახველი სალარო, აეროფლოტის საგენტო, რკინიგზის სალაროები, ნ. ლორთქიფანიძის სახელობის მუზეუმი, უალკოჰოლო სასმელების საფირმო მაღაზია, ავტოსადგური, ავტოპროფილაქტორიუმი, სანატორიუმი „სამგურალი“, სამხატვრო გალერეა, საბაზანო, სამუსიკო სკოლა, რაიონული პოლიკლინიკა და სხვა ობიექტები.

უზრუნველყონ კურორტის სანატორიუმების და საკურორტალო დაწესებულებების მიერ 115 ათასზე მეტი ავადმყოფ-დამსვენებლის მომსახურება, 2 პროცენტით გაზარდონ ზეგეგმითი მოგება. პრაქტიკაში დანერგონ მკურნალობის 5 ახალი მეთოდი. კაპიტალურად შეაკეთონ ცენტრალური საავადმყოფო და სამშობიარო სახლი.

არდადეგების პერიოდში უფროსკლასელი მოსწავლეები მონაწილეობას მიიღებენ სასოფლო-სამეურნეო და ქალაქ-კურორტის კეთილმოწყობის სამუშაოებში, შეასრულებენ 40 ათასი მანეთის სამუშაოებს.

სპორტული საზოგადოებები და ფიზკულტურული კოლექტივები წლის განმავლობაში მოამზადებენ 5 ათასამდე სპორტსმენ-თანრიგოსანს. წინა ხუთწლედთან შედარებით 1,3-ჯერ მეტი სპორტსმენი იმეცადინებს სპორტულ ბაზებზე.

სოციალისტური ვალდებულებანი განხილული და მიღებულია ზონის შრომითს კოლექტივებში.

(საქინფორმი).

როგორ ვაგროვებთ ჯარის

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ განიხილეს მესამე კვარტალში შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების დამზადება-გადამუშავების გეგმების შესრულებაში საუკეთესო შედეგების მიღწევისათვის საქართველოს სსრ ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სოციალისტური შეჯიბრების შედეგები.

პირველი ადგილი მიენიჭა ქალაქ რუსთავს, მეორე — თბილისს, მესამე ადგილი არავის მინიჭებია.

არადამაკმაყოფილებლად ცნეს ასპინძის, ბოგდანოვკის, ბორჯომის, გეგეჭკორის, დუშეთის, ყვარლის, ქარელის, ლენტეხის, მახარაძის, ორჯონიკიძის, წალენჯიხის, წალკის, წითელწყაროს, ჩოხატაურისა და ჩხოროწყუს რაიონების მუშაობა, რომლებმაც ვერ შეასრულეს შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების დამზადებისა და გადამუშავების გეგმები; ყაზბეგის, კასპის, მარნეულის, საგარეჯოსა და თეთრი წყაროს რაიონების მუშაობა, რომლებმაც ვერ შეასრულეს შავი ლითონების ჯართის დამზადებისა და გადამუშავების გეგმები, ქალაქების ბიათურის, გორის, ზუგდიდის, ადიგენის, ამბროლაურის, ახალციხის, ახალქალაქის, ახმეტის, ბოლნისის, გარდაბნის, გორის, გურჯაანის, დმანისის, ზესტაფონის, ლანჩხუთის, მაიაკოვსკის, მესტიის, ონის, საბურეთის, საჩხერის, სიღნაღის, თერჯოლის, ცაგერისა და წულუკიძის რაიონების, აფხაზეთის ასს და აჭარის ასს რესპუბლიკების მუშაობა, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს ფერადი ლითონების ნარჩენების დამზადებისა და გადამუშავების გეგმების შესრულება. (საქინფორმი).

უზეთოდ დამზადებული ემულსოლი

მარნეულის ნავთობის ბაზაში ნარჩენებისაგან ამზადებენ ემულსოლს, ანუ ემულსიურ საპონს, რომელსაც იყენებენ მრეწველობის სხვადასხვა დარგში, როგორც დასარბილებელ, მაგლუვებელ საშუალებას. წინათ რესპუბლიკაში, ისევე როგორც ყველგან, ნახმარ იმდუსტრიულ ზეთებს ურევდნენ მაზუთს და სწვავდნენ, ან მდინარეში უშვებდნენ.

სსრ კავშირის ნავთობპროდუქტების სახელმწიფო კომიტეტის დარგობრივი ინსტიტუტის მეცნიერებთან თანამეგობრობით საქართველოს სახელმწიფო კომიტეტმა მარნეულის ნავთობის ბაზაში შეიმუშავა სინთეზური პოხიერი მქავებით ნახმარი ზეთების გამდიდრების ტექნოლოგია. ასეთი შეერთების შედეგად მიღებული ემულსოლი თავისი ფიზიკურ-ქიმიური თვისებებით წინამორბედს არ

„კომუნისტის“ საკვლევი საქმიანობა

ახალი ამბები

▼▼

დონეცკში დამთავრდა ჟურნალისტთა საკავშირო სემინარი, რომელიც მიეძღვნა პრესაში, ტელევიზიით და რადიოთი პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ეკონომიისა და მომჭირნეობისათვის საყოველთაო-სახალხო მოძრაობის გაშუქებას.

სემინარის მონაწილეები ეწვივნენ მთელ რიგ წამყვან საწარმოებს, სადაც გაეცნენ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, მეორეული რესურსების, მასალების, ელექტროენერგიისა და სათბობის რაციონალური გამოყენების გამოცდილებას.

▼▼

სსრ კავშირის კულტურის სამინისტრო, სრულიად საკავშირო აღკკ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის განათლების სამინისტრო და სსრ კავშირის პროფტექგანათლების სახელმწიფო კომიტეტი 1986-1987 წლებში აწყობენ საკავშირო კონკურსს მოსწავლე ახალგაზრდობისათვის გათვალისწინებული მასობრივი თეატრალიზებული წარმოდგენების საუკეთესო სცენარისათვის.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, საქართველოს აღკკ ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის განათლების სამინისტრო და პროფტექგანათლების სახელმწიფო კომიტეტი 1986 წლის დეკემბრიდან 1987 წლის თებერვლამდე აწყობენ ამ კონკურსის რესპუბლიკურ ტურს.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც პროფესიონალ, ისე თვითმოქმედ სცენარისტებსა და რეჟისორებს.

მასალები უნდა გაიგზავნოს 1987 წლის 15 თებერვლამდე მისამართით: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 19, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, მხატვრული თვითმოქმედების სარეპერტუარო-სარედაქციო კოლეგიას. წარწერით: — „სცენარების საკავშირო კონკურსისათვის“.

საუკეთესო სცენარებს საკავშირო კონკურსზე მონაწილეობის რეკომენდაცია მიეცემა.

▼▼

უწვეული იყო გუდაუთის დასასვენებელ სახლში „ოსეთში“ სტუმრების ჩამოსვლა. აქ ერთდროულად ჩამოვიდა ნოვგოროდ-ვოლინსკის 287-ე მსროლელი დივიზიის ოცდაათი ყოფილი ფრონტელი.

შეხვედრა ორმოც წელზე მეტი ხნის შემდეგ... მოგონებანი დაიწყო ჯერ კიდევ შავი ზღვისაკენ მიმავალ საფირმო მატარებელ „აფხაზეთში“. ამ მატარებლით მოგზაურობა და კურორტზე დასვენება თანაპოლკელებს მოუწყვეს საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტის მოსკოვის სექციამ, პარტიის გუდაუთის რაიკომმა და ომის ვეტერანთა რაიონულმა საბჭომ.

▼▼



დაბა კაზრეთში ახაღმოსახლეობა იზეიმა მაღნეულის სამთომამდიდრებელი კომბინატის სამეგიცინო-სანიტარულმა ნაწილმა. მის განკარგულებაშია სტაციონარი 150 საწოლით და პოლიკლინიკის განყოფილებები. ამ ორგანყოფილებიან საცირკო წარმოდგენაში მრავალი საინტერესო ნომერია: ეკვილიბრისტიკა, იუზია, ტანვარჯიში და აკრობატიკა, მუსიკალური ექსცენტრიკა, ჟონგლიორობა, გაწვრთნილი ცხენები, ძაღლები და დიდი ატრაქციონი „გაწვრთნილი გამადრილები“ თამარ ბატიროვას ხელმძღვანელობით.

მთელ საღამოს მანეულზე სამი მხიარული კლოუნია რსფსრ დამსახურებული არტისტის ვაღერი სერებრიაკოვის ხელმძღვანელობით.

სურათზე: ვ. სერებრიაკოვი (შუაში), კლოუნები ი. პოპოვი და ა. ნოვოსელოვი.

ს. კილაძის ფოტო და ტექსტი.

„სიციდის 100 წუთი, რისკის ერთი წამი“ — ასეთი სახელწოდება აქვს თბილისის სახელმწიფო ცირკის ახალ პროგრამას, რომლის პრემიერა წარმატებით გაიმართა 3 დეკემბერს. ამ ორგანყოფილებიან საცირკო წარმოდგენაში მრავალი საინტერესო ნომერია: ეკვილიბრისტიკა, იუზია, ტანვარჯიში და აკრობატიკა, მუსიკალური ექსცენტრიკა, ჟონგლიორობა, გაწვრთნილი ცხენები, ძაღლები და დიდი ატრაქციონი „გაწვრთნილი გამადრილები“ თამარ ბატიროვას ხელმძღვანელობით.



„ოლიმპიადა-84“ — ასეთ სახელწოდებას ატარებს ბაკურიანის ბალნეოლოგიური კურორტის ბანაკ-სანატორიუმ „ბაკურიანის“ ბალნეოლოგიურ ტალახ-ტალახსაცავ-ბინიანი

4 დეკემბერი ● საკავშირო იუწყება

ეკონომიკა

ფაქტები • მოვლენები

საქართველოს სსრ
უმაღლესი საბჭოს
მუდმივ კომისიებში

ტექნიკური განახლების კურსით

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის კომისიის სხდომაზე განიხილეს რესპუბლიკის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს მიერ დარგის საწარმოებში ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების დანერგვისათვის, საწარმო პროცესების ავტომატიზაციისა და მექანიზაციის დონის ამაღლებისათვის მუშაობაში განუხრელად იხელმძღვანელოს სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებით. საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად ამ სამინისტრომ უნდა განახორციელოს ხსენებული საწარმოების ტექნიკური განახლების, წარმოების ეფექტიანობის გადიდების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების კონკრეტული ღონისძიებანი. შესაბამისი რეკომენდაციები მიეცათ აგრეთვე სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკურ სამმართველოს, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს, აგრეთვე რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს.

კომისიის სხდომის შედეგები შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ გ. ჩიგოგიძემ.

გაკუფრთხილდეთ გარემოს

რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის საწარმოებში მტვერგაზდამჭერი დანადგარებით გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებების გამოყოფის წყაროების აღჭურვის პროცენტი ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე მცირეა. ეს ფაქტი აღნიშნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების კომისიამ, რომელმაც თავის სხდომაზე განიხილა ამ საწარმოთა მუშაობა გარემოს დაცვის კანონმდებლობის შესრულების უზრუნველყოფისათვის.

დეპუტატებმა გამოავლინეს ამ მიმართულებით დაშვებული სერიოზული ნაკლოვანებანი ქიმიური მრეწველობის სამინისტროსა და ქიმიური სასუქების წარმოების სამინისტროს ობიექტებში, რომლებიც რესპუბლიკის ტერიტორიაზე შდებარეობენ. ჰაერისა და წყლის აუზების გაჭუჭყიანების თავიდან აცილების მიზნით საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის რესპუბლიკურ სამმართველოს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს დაეკალათ გააძლიერონ გარემოს დაცვის კანონმდებლობის შესრულებისადმი სახელმწიფო კონტროლის კოორდინაცია, კონკრეტული რეკომენდაციები მიეცათ აგრეთვე ქიმიური მრეწველობის საწარმოებსა და გაერთიანებებს.

კომისიის სხდომის შედეგები შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ ს. დურმიშიძემ.

(საქინფორმი).

● კოლუმბია

კეთილი ნების მისიით

ბოგოტა. მშვიდობისა და მეგობრობის მხარდაჭერის, ბირთვული ომის საფრთხის წინააღმდეგ, ახლანდელ და მომავალ თაობათა ბედნიერი მომავლის მკაფიო მანიფესტაციად გადაიქცა ცერემონია, რომლის დროს კოლუმბიის დედაქალაქში ჩაატარეს მშვიდობის ჩირაღდანი.

ბოგოტის ასაათასობით მცხოვრები მიესალმა მშვიდობის წარგზავნილებს, რომლებიც 16 სექტემბერს ნიუ-იორკიდან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინიდან სამოგზაუროდ წავიდნენ ყველა კონტინენტის ქვეყანაში. ბოლივარის ცენტრალურ მოედანზე პლანეტის ხალხთა წარმომადგენლებს, რომლებსაც მშვიდობის ჩირაღდანი მოჰქონდათ, მიესალმა კოლუმბიის დედაქალაქის მერი ხ. სესარ სანჩესი. მან დიდი შეფასება მისცა მსოფლიო ომისაწინააღმდეგო მოძრაობის აქტივისტების საქმიანობას, ხაზგასმით აღნიშნა, რომ უომო მსოფლიო პლანეტის ყველა ადამიანის სურვილია.

მსოფლიო პოლიტიკის უდიდესი ფაქტორი

ინდოეთის პარტიების ხელმძღვანელები მ. ს. გორბაჩოვის ვიზიტის შესახებ

დელი. მ. ს. გორბაჩოვის ვიზიტი ინდოეთში უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენა გახდა, მან დიდი წვლილი შეტანა ჩვენი ქვეყნების მრავალმხრივი მეგობრული კავშირურთიერთობის განვითარებაში, განაცხადა საკადისის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში ინდოეთის კომპარტიის ეროვნული საბჭოს გენერალურმა მდივანმა რაჯეშვარა რაომ. ჩვენი მეიდრო ურთიერთობა, თანამშრომლობა საერთაშორისო ასპარეზზე განპირობებულია ორი ქვეყნის ხელმძღვანელების, ინდოელი და საბჭოთა ხალხების შეხედულებათა ერთიანობით.

საბჭოთა კავშირმა და ინდოეთმა კვლავ მტკიცედ განაცხადეს, რომ ემხრობიან მშვიდობისათვის ბრძოლას, მზად არიან რადაც უნდა დაუჯდეთ დაიცვან მშვიდობა და მოსპონ ბირთვული კატასტროფის საფრთხე, თქვა რაჯეშვარა რაომ. სწორედ ამას ისახავს მიზნად მ. ს. გორბაჩოვისა და რ. განდის მიერ ხელმოწერილი დელის დეკლარაცია ბირთვული იარაღისაგან თავისუფალი და უძალადო მსოფლიოს პრინციპების შესახებ, რომელიც მსოფლიოს ხალხებს მოუწოდებს დაუყოვნებლივ დაიდოს ბირთვული იარაღის გამოყენების ან გამოყენებით დამუქრების აკრძალავი საერთაშორისო კონვენცია. ვიზიტზე კიდევ ბევრს ილაპარაკებენ, „მაგრამ, უეჭველია, რომ იგი უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენად იქცა. მოლაპარაკების შედეგებს საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობა აპყავს ახალ სიმაღლეზე, ისინი ხელს უწყობს საერთაშორისო ასპარეზზე მშვიდობისათვის, მთელი კაცობრიობის პროგრესისათვის ორი ქვეყნის ბრძოლის გააქტიურებას.

ჩვენი ხალხების მეგობრობა დიდი ხნის ტრადიციად იქცა, თქვა ინდოეთის ეროვნული კონგრესის (ი) მმართველი პარტიის სრულიად ინდოეთის კომიტეტის გენერალურმა მდივანმა რ. ლ. ბჰატიამ. ინდოელებმა კარგად იციან, რაოდენ გულწრფელად, გულთბილად ეკიდებიან მათ საბჭოთა ადამიანები, რომლებიც ყოველთვის მზად არიან დასახმარებლად. ინდოეთის პარლამენტში გამოსვლისას მ. ს. გორბაჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირისა და ინდოეთის თანამშრომლობას საერთაშორისო ასპარეზზე, რაც მსოფლიო პოლიტიკის უდიდესი ფაქტორია და აღმშენებლობითს როლს ასრულებს საერთაშორისო ურთიერთობის ისტორიაში. ჩვენი ორი ქვეყანა და ხალხები იღვწიან იმისათვის, რომ კლმატი პლანეტაზე უფრო უსაშიშრო გახდეს. ინდოეთისა და სსრ კავშირის ურთიერთობა სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური სისტემის სახელმწიფოთა ნაყოფიერი თანამოქმედების ნათელი მაგალითია და ორივე ხალხის ძირეულ ინტერესებს შეესაბამება, თქვა რ. ლ. ბჰატიამ.

● ჩილე

კომპარტიის განცხადება

ბუენოს-აირესი. პინოჩეტის ფაშისტური რეჟიმი ახალ მხეცურ რეპრესიებს ამზადებს ჩილეს დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ იმ მიზნით, რომ ამ გზით გაამარადიოს თავის ყოფნა ხელისუფლების სათავეში. ეს ნათქვამია იატაკქვეშ მოქმედი ჩილეს კომპარტიის განცხადებაში, რომელიც ამ დღეებში გავრცელდა სანტიაგოსა და ქვეყნის სხვა ქალაქებში, აგრეთვე მის ფარგლებს გარეთ.

როგორც ჩილეს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური კომისიის მიერ მომზადებულ დოკუმენტშია აღნიშნული, დიქტატორი, რომელიც მოქმედებს ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმის მითითებით და ხელმძღვანელობს საკუთარი პათოლოგიური ანტიკომუნიზმით, რაზმავს თავის საიდუმლო სამსახურებსა და ფაშისტ არამზადათა გასამხედროებულ ბანდებს, რათა დარტყმა მიაყენოს კომპარტიას, ჩილეს სხვა მემარცხენე ძალებს, გთიშოს ოპოზიციის რიგები.

ჩილელი კომუნისტები, ხაზგასმულია ჩილეს კომპარტიის განცხადებაში, ვაკაცურად ებრძვიან დიქტატურას. მრავალმა მათგანმა სიცოცხლე გასწირა სამშობლოს განთავისუფლების, დემოკრატიისა და პროგრესის აღდგენისათვის.

ჩილეს კომპარტია მოუწოდებს საერთაშორისო საზოგადოებრიობას გააქტიუროს ჩილელ ხალხთან სოლიდარობის კამპანია.

● ბოლივია

ეროვნული ერთიანობა

ლა პაზი. ბოლივიის ეროვნული ერთიანობის ფრონტმა, ბოლივიის ეროვნული ეკონომიკის ინსტიტუტმა, ბოლივიის ეროვნული ეკონომიკური ასოციაციებმა ერთობლივ ანგარიშში ხაზგასმით აღნიშნეს, ბოლივიის ეროვნული ეკონომიკა ბოლო ოცი წლის განმავლობაში ეტაპობრივ ეცემა.

„...„არგონავტებიდან“ ...დღემდე!

— როგორ შევიდეთ ზღაპარში? — ხშირად გვეკითხებიან ხოლმე ბავშვები, და მართლაც, რა საინტერესოა ზღაპრებისაკენ საკალი გზები! მით უმეტეს საინტერესოა, თუ იმ ზღაპარს პატარების სულის სიკეთის შუქით გასხივოსნება ძალუძს და ბოროტზე — კეთილის, ზარმაცზე — ბეჯითის გამარჯვების იდეით გვმოძღვრავს. მულტიპლიკაციური ხელოვნება ერთ-ერთი უაზლოესი ბილიკია ზღაპრების სამყაროსაკენ, იგი სწორედ ის ფენომენია, კინემატოგრაფის ხატოვანი, სხარტი და გამომსახველობითი ხასიათის ხერხებით ფრთგამოცემს ამ თუ იმ მოთხრობისა ან ზღაპრის სიუჟეტს, მის შემეცნებითს მხარეს.

ქართული მულტიპლიკაცია 50 წლისაა.

— როგორ გესახებათ ქართული მულტიპლიკაციის განვლილი გზა მისი არსებობის ნახევარსაუკუნოვანი გადასახედიდან? ვინ ითვლება ქართული მულტიპლიკაციის პიონერად? — ამ შეკითხვით დავიწყეთ დიალოგი კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მულტგაერთიანების მხატვრულ ხელმძღვანელთან **გელა კანდელაკთან.**

— ჩვენი მულტიპლიკაციის განვითარების მანძილზე გამოეყოფდი სამ ძირითად ეტაპს, რომლებმაც განაპირობა მისი დღევანდელი სახე.

პირველი ეტაპი, ალბათ, მაინც ქართული მულტიპლიკაციის პიონერთან ვ. მუჯირის სახელთანაა დაკავშირებული. მისი ფილმი „არგონავტები“ ლ. გუდიაშვილის მხატვრობით, 1935 წელს იშვა, უფრო ადრე კი, კინორეჟისორმა კ. მიქაბერიძემ თავის ფილმში „ჩემი ბებია“ (1929 წ.) უკვე გამოიყენა მულტიპლიკაციის ელემენტები. ჩვენმა ცნობილმა მულტიპლიკატორებმა — ა. ხითბოიძემ და ვ. ბახტაძემ ქართულ ფოლკლორულ და ეთნოგრაფიულ ნიადაგზე დაყრდნობით ახლობელი და საყვარელი გახადეს კინოხელოვნების ეს ჟანრი არა მარტო ბავშვებისათვის, არამედ დიდებისათვისაც.

მეორე ეტაპს „საშუალო თაობის“ შემოქმედები მიეკუთვნებიან. ეს პერიოდი განიცდის ევროპული მულტიპლიკაციის პრინციპების გაფლენას და მან ერთგვარად გაამდიდრა ქართული მულტიპლიკაცია ახალი გამომსახველობითი ხერხებით — გეომეტრიული ფიგურების, ლაკონიური ელემენტების შემოტანით. სამაგიეროდ, ამავე პერიოდში თითქოს გაქრა, დაიკარგა ქართული ეროვნული ნახატი გმირი, მისი ხასიათი, ასე ვთქვათ, ქართული ტიპი.

უკვე მესამე, თანამედროვე ახალგაზრდა მულტიპლიკატორთა თაობა, თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა სახით წარმოგვიდგება. ამ ორი განვლილი შემოქმედებითი ეტაპის ერთგვარ სინთეზს ახდენენ ისინი და ფსიქოლოგიურად აღრმავებენ ქართული მულტიპლიკაციის პერსონაჟთა ხასიათებს.

— რას გვიამბობთ ქართული მულტიპლიკაციის დღეგანდელ დღეზე, მის მიღწევებზე?

— ის ზოგადი მოვლენა, რომ მულტიპლიკაცია მაყურებელთა ფართო აუდიტორიის ყურადღების საგნად იქცა მთელ მსოფლიოში და გარდა საბავშვო ასაკისა, უკვე უფროსებისთვისაც საინტერესო გახდა, გარკვეულ გავლენას ახდენს ჩვენს ფილმებზეც.

ქართულმა მულტიპლიკაციამ საკმაოდ ფართო აღიარება მოიპოვა როგორც ჩვენში, ისე უცხოეთშიც. ჩამოვთვლი რამდენიმე ნაწარმოებს: მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალზე „კანში“ წარდგენილმა რეჟისორ დ. თაყაიშვილის ფილმმა — „ჭირი“ (სცენარი და მხატვრობა დ. სიხარულიძისა) გრან-პრი დაიმსახურა. რეჟისორ ბ. შოშიტაიშვილის ფილმმა „ტუსაღი“ (სცენარის ავტორები — დ. ივანოვი და ნ. კლდიაშვილი, დამდგმელი მხატვარი — ი. ბარანოვა) კანის ფესტივალში მონაწილეობისათვის მიიღო ჟიურის დიპლომი. ფილმს „ეანგიანი რაინდი“, რომლის რეჟისორი და დამდგმელი მხატვარია ლ. ჭყონია, სცენარის ავტორი — ი. კვინიკაძე, საკავშირო კინოფესტივალის II პრიზი ხვდა წილად. „გულუბრყვილო ბატი ტასიკოს თავგადასავალი“, სცენარისტ მ. კეკელიძისა და რეჟისორ დ. სიხარულიძის უახლესი ნამუშევარია. მისი დამდგმელი მხატვარიც დ. სიხარულიძეა. ამ ფილმმა მთავარი პრიზი მიიღო ახალგაზრდა კინემატოგრაფისტთა ფესტივალზე. „ყორანი“ ახალგაზრდა რეჟისორ დ. თაყაიშვილის სადიპლომო ნამუშევარია. ამ ფილმმა ახლახან იტალიაში ქ. ლუკას საერთაშორისო ფესტივალზე ქართული და სომხური მულტიპლიკაციური ფილმების რეტროსპექტული ჩვენებისას დიდი მოწონება დაიმსახურა. საქართველოდან ამ ფესტივალზე 8 ფილმი იყო წარდგენილი — „არგონავტებიდან“ დღევანდლამდე.

ამჟამად ბულგარელ და სლოვაკ კოლეგებთან ერთად ვმუშაობთ ერთობლივ ფილმებზე; ცოტა ხნის წინ ვმონაწილეობდით გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გართული — მართულ საბჭოთა მულტფილმების კვირეულში. იქვე იშვა შემოქმედებითი თანამშრომლობის იდეა, ასე რომ, მომავალში გერმანელებთანაც დავამყარებთ ნაყოფიერ კონტაქტს.

დღევანდელი მულტფილმების წარმოების დონე შეიძლება ერთგვარად დამაკმაყოფილებლად შეფასდეს; მაგრამ მულტიპლიკაციის მიმართ გაზრდილი თანამედროვე მოთხოვნები ჩვენს წინაშე მრავალ საჭირბოროტო პრობლემას აყენებს.

— რომელს გამოყოფდით ზემოაღნიშნულიდან და რა მიგაჩნიათ ამ პრობლემათა გადაჭრის რეალურ გზებად?

— ათ წელზე მეტია, რაც უშუალოდ დავუკავშირდი ქართულ მულტიპლიკაციურ ფილმს და ვფიქრობ, დღევანდელობის მიერ დასმული პრობლემური საკითხების გადასაჭრელად საჭიროა მულტგაერთიანების შემოქმედებითი ცხოვრების არსებითი გარდაქმნა. ჩვენ როგორმე უნდა გამოვიდეთ ჩვენი ვიწრო პროფესიული ფარგლებიდან და მეტად ფართოდ დავაკავშირდეთ ყველა ამ რასტრებტს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვთ მოზარდი თაობის აღზრდასთან.

ჩვენს გაერთიანებაში შესაძლებელია [illegible] ფილმების კიდეც საქართველოს. [illegible]ორის ამსახველი ნახატი სასწავლო ფილმები. [illegible] ერის [illegible] ფილმებიდან დღეგანდელობამდე.

ორი წელია, რაც რეჟისორ ქ. სულაკაურის იდეითა და მხატვარ გ. ლაფაურის მონაწილეობით ჩვენს გაერთიანებაში შეიქმნა მაგიდის თეატრი „აი ია“. ეს არის მცირე ზომის მოძრაგი სცენა თავისი განათებით, დეკორაციებით, ფარდითა და მსახიობებით. ბავშვი თვით არის სპექტაკლის შემოქმედი.

მულტგაერთიანებასთანვე ყალიბდება ჩრდილებისა და თოჯინების მოხეტიალე თეატრი „ბუდრუგანა“.

ესაუბრა

ნათელა ბერიანიძე.

სურათებზე: კადრები ფილმებიდან: „არგონავტები“, „ოჩოკოჩი“, „ბაბაჯანას ქოშები“, „ალო-ალო“.

„ცეროდენა“ უმეგობრდება „მართვეს“

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ზესტაფონის სახალხო თეატრის სცენაზე ჩვენთვის უცხო ენაზე ბავშვები რეპეტიციას გადიოდნენ.

მათი ვინაობა კულტურის განყოფილების გამგემ ომარ გეგეჭკორმა გაგვაცნო. ესენი ლატვიის ქალაქ ვალმიერის №3 საშუალო სკოლის სახალხო თეატრის — „ცეროდენას“ წარმომადგენლები არიან, — გვითხრა მან, — რომლებიც ჩვენთან საქართველოს კულტურის სამინისტროს ხალხური შემოქმედებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის სამეცნიერო მეთოდიკური ცენტრის თეატრალური განყოფილების მორწმუნეთ იმყოფებიან.

ჩვენს საუბარს შემოეესწრო სტუმარი — სკოლის დირექტორი ივარ ბრიედისი, რომელმაც გაგვაცნო სახალხო თეატრის შექმნის ისტორია.

— ჩვენს სკოლაში, — თქვა ი. ბრიედისმა, — დიდი ყურადღება ექცევა თეატრალურ ხელოვნებას, აქ მეცხრე, მეათე და მეთერთმეტე კლასებში ზოგადსაგანმანათლებლო საგნებთან ერთად მოსწავლეები ეუფლებიან სიტყვის ოსტატობას, სასცენო მეტყველებას, რიტმულ მოძრაობებს, თეატრისა და ხელოვნების ისტორიას, დეკორაციებსა და ტანსაცმლის დამზადებას... ჩვენი ამოცანაა არა მარტო მსახიობების მომზადება, არამედ ვუჩვენოთ ბავშვებს, რომ სასცენო მოღვაწეობა მეტად შრომატევადია და, რაც მთავარია აღვზარდოთ განათლებული მაყურებელი.

სკოლაში ვიღებთ რესპუბლიკურ კონკურსში გამარჯვებულებს. ჩვენს ქალაქში არის სახელმწიფო თეატრი, რომელიც სკოლის საბაზო ორგანიზაციად ითვლება. მის საამქროებში ჩვენი ბავშვები ეუფლებიან კერვის, ბუტაფორიის, დეკორაციების დადგმის, პარიკმახერის, გამნათებლის, სცენის ტექნიკოსისა და ადმინისტრაციული საქმის ხელოვნებას.

„ცეროდენას“ რეპერტუარში შედის სკოლის ასაკის ბავშვებისათვის განკუთვნილი პიესები.

ვალმიერელმა მოსწავლეებმა ზესტაფონელ ნორჩ მაყურებლებს უჩვენეს ლ. ბლაუმანის და რ. პაულსის „შმაკუნები“, ხოლო ზესტაფონის სახალხო თეატრთან არსებულმა ახალგაზრდულმა თეატრალურმა სტუდიამ „მართვეს“ ლატვიელ თანატოლებს გააცნო საქმეტაკლი „გამოცდა“.

გარდა ზესტაფონისა, სტუმრები იყვნენ ხაშურისა და ვანის რაიონებში. ლატვიელ მოსწავლეთა ჩამოსვლის მთავარი მიზანია ქართველ თანატოლებთან დამეგობრება და შემოქმედებითი ურთიერთობის დამყარება.

ბ. შარიქაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

მიზანი: კულტურათა ურთიერთგამდიდრება

პარიზს ძველ უბანში, ცელტნას ქუჩაზე მდებარეობს სათეატრო ინსტიტუტი. ეს სასწავლო დაწესებულება კი არა, სამეცნიერო ცენტრია, სადაც თეატრალური ხელოვნების პრობლემებს სწავლობენ. მეცნიერთა კვლევა-ძიების სფეროში შედის როგორც ცალკეული თეატრალური საკითხების დამუშავება, ასევე სპექტაკლების ღრმა, საფუძვლიანი ანალიზი. ინსტიტუტი დიდი გულმოდგინებით გამოსცემს ალბომებს, სადაც მრავალმხრივ აშუქებს სცენოგრაფიის საკითხებს. სათეატრო ინსტიტუტის ერთ-ერთ ფუნდამენტურ შრომად უნდა მივიჩნიოთ მის მიერ გამოცემული ჩეხოსლოვაკიის თეატრების მთლიანი რეპერტუარი. გარდა ამისა, ამ სამეცნიერო ცენტრში მეტად საინტერესო სოციალურ კვლევას ეწევიან.

განსაკუთრებით საგულისხმო და აღსანიშნავია, რომ ინსტიტუტს ყველა თავისი საუკეთესო სპექტაკლი მაგნიტოფირზე აქვს აღბეჭდილი, რისი მეოხებითაც კვლევა უფრო საფუძვლიანია.

ამას წინათ, პრაღაში სტუმრად იყო ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი ნათელა არველაძე, რომელმაც ლექცია წაიკითხა თანამედროვე ქართული თეატრის პრობლემებზე.

ახლახან სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოების მოწვევით გვეტუმრნენ პრაღის სათეატრო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე იაროსლავ ფიქსა და თეატრალური განყოფილების გამგე იაროსლავ მახეკი, რომლებმაც თბილისში ჩამოსვლის დიდი სურვილი გამოთქვეს საქართველოს თეატრალური ცხოვრების ახლოს გაცნობის მიზნით. აქ ყოფნის პერიოდში მათ შესაძლებლობა მიეცათ სამი ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული სპექტაკლი ენახათ. წარმოდგენებიდან მიღებულ შთაბეჭდილებებზე გვესაუბრებიან ჩვენი სტუმრები.

იაროსლავ ფიქსა: აქ ჩამოსვლამდე ქართული თეატრის შესახებ ბევრი რამ ვიცოდით იმ მდიდარი მასალიდან, რომელიც ქვეყნდებოდა და ქვეყნდება უცხოთის პრესაში. სამწუხაროდ, ჯერჯერობით არც ერთი ქართული თეატრი პრაღაში არ ჩამოსულა, რათა უშუალოდ გაეცნობოდით თანამედროვე ქართული თეატრალური ხელოვნების მიღწევებს, ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ მოვიტყუოდით მოსკოვიდან თბილისისაკენ, რათა საკუთარი თვალით გვეხილა განუმეორებელი ხელწერის მქონე ქართული თეატრი, და თავიდანვე ვიტყვი, რომ მოლოდინი გაგვიმართლდა. პირველივე სპექტაკლში — რ. გაბრიაძის „ჩემი გაზაფხულის შემოდგომა“ — დახვეწილი გემოვნებითა და ფანტაზიით განხორციელებულ მარიონეტულ წარმოდგენაში, მთელი ძალითა და სილამაზით შეეგრძნო ქართული სული, მთელი საქართველოს მომხიბლაობა, მეტად საინტერესო კოლექტივია თბილისის მარიონეტების თეატრი, ყველა მაყურებლისათვის ერთნაირად მისაწვდომი. წინასწარ შემიძლია თამასუქის გაცემა, რომ იგი დიდი წარმატებით იმოგზაურებდა ევროპაში.

ჩინგიზ ტრაბაძეს „ბუნებრივი ქმედების“ თეატრის სპექტაკლმა — „მევიოლინე სახურავზე“, რომელიც ევროპის ბევრი თეატრის სცენაზეა დადგმული, ხოლო ჩვენთან იგი განხორციელდა ჩეხოსლოვაკიის ეროვნულ დრამატულ თეატრში. პირველი, რაც მიიპყრო ჩვენი ყურადღება, ის გახლდათ, რომ იგი ოპტიმისტურ ფერებშია დადგმული, რაც შეცდომა კი არ არის, არამედ თეატრის პოზიციაა. გ. ლორთქიფანიძის რეჟისურა იმით არის მნიშვნელოვანი, რომ მან ქართველი მსახიობის ბუნებისათვის დამახასიათებელი თეატრალურობა ორგანულად შეუხამა მუსიკალურ პარტიტურას. შესანიშნავია დასი, სპექტაკლი იმდენად მთლიანია, რომ გამიჭირდებოდა ვინმეს გამოყოფა, თუმცა ცდუნებას ვერ გავეჭიცავი და მაინც დავასახელებ ვერა ძერძევე ტევიეს როლის შემსრულებელს თ. მაისურაძეს.

მომაჯადოვა „რიჩარდ მესამის“ ორიგინალურმა გადაწყვეტამ. შთაბეჭდილება იმდენად ძლიერია, რომ ბევრი რამ ჯერ კიდევ გასაცნობიერებელია ჩემთვის. რ. სტურუას რეჟისურა მაღალი რანგის ხელოვნებაა. სპექტაკლი გიდვიეგის დფიერების, დეტალები ჩაღრმავების სურვილს.

იაროსლავ მახეკი: სამი სხვადასხვა სპექტაკლი, სამი რეჟისორული ინდივიდუალობა, არა მხოლოდ ინდივიდუალობა, არამედ განსხვავებული ფილოსოფიური თვალთახედვაა. თითოეულ მათგანს თავისი სათქმელი აქვს და ეს მოაქვთ სიახლის გრძნობით, ტემპერამენტით.

მოხიბლული ვარ რეზო გაბრიაძის დრამატურგიული და რეჟისორული ნიჭით. როგორი მეტაფორული აზროვნებითაა აღბეჭდილი მთელი წარმოდგენა. ძალიან მინდა, რომ თბილისის მარიონეტების თეატრი საგასტროლოდ ეწვიოს ჩეხოსლოვაკიას.

დიდი კმაყოფილებით გაგიზიარებთ ჩემს აზრს აგრეთვე მუსიკალური კომედიის თეატრში აღლახან დადგმულ ჯ. ბოკოს მუზიკლზე — „მევიოლინე სახურავზე“. ანსამბლური წარმოდგენაა, ყველა აქტიორი თავისი მოწოდების სიმაღლეზეა, შესანიშნავია სცენოგრაფია, გვიოვნებითაა დადგმული ცეკვები. ამავე ნაწარმოების მიხედვით დადგმული სპექტაკლი მინახავს ბერლინში, ჩვენთანაც, და ვიტყოდი, რომ ქართულმა ვარიანტმა ახალი სიღრმეები დამანახვა.

და ბოლოს „რიჩარდი“! გავონილსა და წაკითხულს საკუთარი თვალით ნანახი სჯობსო, რომ ამბობენ, ამ კონკრეტულ მაგალითზე დავრწმუნდი. გამომსახველობითი ხერხების ნამდვილი ფიერერკია გამოყენებული ამ ერთ სპექტაკლში. რეჟისურა, მუსიკა, პლასტიკა, აქტიორული ხელოვნება ასეთი უზადო სინთეზით წარმოდგენილი იშვიათად თუ მინახავს.

გვიჭირს თქვენს მშვენიერ ქალაქთან განშორება. ჩვენი უპირველესი სურვილია ქართულ-ჩეხური თეატრალური ურთიერთობების გაღრმავება.

ვ. რობაქიძე.

...ერთ ციცინათელა ... ...ერ ...

ახლახან თბილისში სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ახალ სამკურნალო საშუალებათა და სამედიცინო ტექნიკის სამმართველოს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და რესპუბლიკის მთავარი საგეთაქო სამმართველოს თანამონაწილეობით კარდიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის რადიომუნოლოგიური და იმუნოფერმენტული დიაგნოსტიკის რესპუბლიკური ცენტრის ბაზაზე გაიმართა საერთაშორისო სიმპოზიუმი თემაზე „დიაბეტის მკურნალობის თანამედროვე მეთოდები“.

სიმპოზიუმი გახსნა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ ანდრო ღლონტმა.

სხდომაზე მოხსენება გააკეთა ევროპაში ერთ-ერთმა ცნობილმა დიაბეტოლოგმა, მონპელიეს უნივერსიტეტის პროფესორმა ჟაკ მირუზმან. მან დამსწრეთა გააცნო მის მიერ ბოლო ათი წლის განმავლობაში გაწეული სამეცნიერო-პრაქტიკული მუშაობის შედეგები და სამედიცინო აპარატურა-დანადგარები, რომლებიც დაავადების სხვადასხვა გართულების დროს გამოიყენება.

დამსწრეთ დიდი ინტერესით მოისმინეს პროფესორ პრედრაგ ჯორჯევიჩის მოხსენება თემაზე „დიაბეტის გლიკაზიდით (პრედიანი) მკურნალობის შედეგები იუგოსლავიის რამდენიმე კლინიკაში“.

საფარანგეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა, ფირმის სსრ კავშირთან და დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის დარგის დირექტორმა, დოქტორმა პიერ მარი ბეტონიმ განაცხადა:

საბჭოთა კავშირს ძლიერი სამეცნიერო პოტენციალი აქვს, ჩვენ არაერთგზის დავრწმუნებულვართ ამაში თქვენს სწავლულებთან მრავალრიცხოვანი კონტაქტების დროს, ურთიერთთანამშრომლობა არა მარტო ფასდაუდებელი, არამედ სასიცოცხლოდ აუცილებელია.

1979 წელს საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის დელეგაცია სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ს. ბ. ბურენკოვის ხელმძღვანელობით ეწვია ფირმა „სერვიეს“ ფარმაცევტული წარმოების კომპლექსს ქ. ორლეანის მახლობლად და ტოქსიკურ-თერაპიული კონტროლის ლაბორატორიას, რომელსაც ევროპაში უდიდესი ავტორიტეტი აქვს. საპატიო სტუმრებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს ფირმის ლაბორატორიებში შესრულებული კვლევისადმი.

საბჭოთა ფარმაკოლოგებისა და კლინიცისტების განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია „სერვიეს“ ინსტიტუტში შექმნილმა ანტიდიაბეტიკურმა პრეპარატმა გლიკაზიდმა (პრედიანი), რომელიც თავისი ორიგინალური თვისებებითა და მოქმედების შესანიშნავი სინერგიზმით გამოირჩევა.

მომდინარეობს მოლაპარაკება პრეპარატის ლიცენზიის შესყიდვის თაობაზე.

გ. ხეთაგური.

სიფხიზლე ცხოვრების ნორმა უნდა იყოს

ყველანი — ლოთობის წინააღმდეგ

მეთორმეტე ხუთწლედში დაჩქარება, ალბათ, სახალხო მეურნეობის ერთადერთ დარგს არ შეეხება — იმას, რომელიც ალკოჰოლიან სასმელებს აწარმოებს. პირიქით, აქ მკვეთრად იკლებს ღვინისა და არყის გამოშვება, სამაგიეროდ გადიდდება სხვადასხვანაირი წვნების წარმოება. ეს იმ ბრძოლის მხლოდ ერთი ასპექტია, რომელიც ყველგან გაიშალა საშინელი სოციალური ბოროტების — ლოთობის წინააღმდეგ.

ლოთობის გამანადგურებელი ძალის დამადასტურებელ ფაქტებს, რომლებიც მოიყვანა თავის გამოსვლაში თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ, სიფხიზლისათვის მებრძოლთა ნებაყოფლობითი საზოგადოების საქალაქო საბჭოს ხელმძღვანელმა ო. ეჯიბაძემ, გულგრილი არ დაუტოვებიათ ჟურნალისტებისა და ამ საზოგადოების აქტივისტების შეხვედრის მონაწილეები.

17 წლით იმოკლებენ სიცოცხლეს მსმელი ადამიანები, მათ ყოველი თვრამეტი ბავშვიდან სამი გონებრივად არასრულფასოვანი ებადებათ. ლოთობის შედეგია დანგრეული ოჯახები, დაობლებული ბავშვები, გარდა ამისა, ლოთობა დანაშაულსაც ასაზრდოებს—როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს, ყველა დანაშაულის უმრავლესობას მთვრალები ჩადიან.

ჩვენს რესპუბლიკაში ჯერ კიდევ გავრცელებულია აზრი, თითქოს ბახუსთან ბრძოლა საქართველოს ყველაზე ნაკლებად ეხებოდეს. სამწუხაროდ, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს სამედიცინო გამოსაფხიზლებელში ანტიალკოჰოლური კანონმდებლობის ძალაში შესვლის შემდგომ განვლილ პერიოდში არაერთი ათასი ადამიანი მოხვდა. მათ შორის არიან, სამწუხაროდ, პარტიის წევრებიც, კომკავშირელებიც.

ლოთობა უძძიმესი ბოროტებაა, და მასთან საბრძოლველად ყველანი უნდა დავიიარაღთ. მხოლოდ ასე შეგვლებთ წარმატების მოპოვებას. და ამ საქმეში, აღნიშნეს თბილისის ჟურნალისტთა სახლში გამართული შეხვედრის მონაწილეებმა, განსაკუთრებული როლი განეკუთვნებათ ხასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, რომლებსაც ამ ბრძოლის ფართო საყოფოობის უზრუნველყოფა მართებთ.

(საქინფორმი).

...ერ ...ერ ...ერ